# ქალაქ თბილისის მერი

## განკარგულება № 1304

„ 17 „ მაისი 2012 წ.

ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კვალის ქ. №№9-11, რუსთაველის გამზირის №29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. №48, №№50-52, მ. მესხის ქ. №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.012.015), არსებული შენობა-ნაგებობის რკონსტრუქციის (სასტუმრო-კომპლექსი) მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 16 მაისის სხდომის №19 ოქმის შესაბამისად:

1.ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კვალის ქ. №№9-11, რუსთაველის გამზირის №29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. №48, №№50-52, მ. მესხის ქ. №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.012.015), არსებული შენობა-ნაგებობის სარეკონსტრუქციოდ (სასტუმრო-კომპლექსი), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=5,4.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE04LB0125152101627959.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 170, ფაქსი: (+995 32) 23 78 200

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომის

ოქმი №19

ქ. თბილისი 8 მაისი 2012 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს სხდომის თავმჯდომარის

მოადგილე გიორგი გოგოლაშვილი

სხდომის მდივანი თინათინ უკლება

სხდომის წევრები: გურამ თავაძე, მაკა შავიშვილი, გიული გეგელია, მარიამ დიდებულიძე, დავით ავალიანი, გიორგი წულუკიძე, თამაზ გერსამია, ნიკოლოზ ჩხაიძე, მანუჩარ მახათაძე, დავით გოგიჩაიშვილი.

მოწვეულები: დ. ჭილაშვილი, მ. კაპანაძე, ს. ჭელიძე, ბ. მელაშხია, ი. ვაჩეიშვილი, გ. რამიშვილი, თ. ჯაფარიძე, ა. ნარეკლიშვილი, ს. პაქსაშვილი, მ. მამუჭაძე, ა. მიქელაძე, ვ. მაისურაძე, მ. კიკაბიძე, ნ. დვალიშვილი, გ. ბარამიძე, პ. ჭავჭანიძე, ლ. ვეფხვაძე, ლ. ჯორჯიაშვილი, შ. ციცაგი, გ. ნატროშვილი, გ. მაზმიშვილი, მ. ბაქრაძე, მ. ტყეშელაშვილი, ლ. ექიზაშვილი, ნ. ჯანელიძე, მ. ძამსაშვილი, ე. მჭედლიშვილი, გ. აბზიანიძე, გ. მაჭავარიანი, ფ. თელია, ვ. ტოგონიძე, ს. ჯორბენაძე, გ. გელაშვილი, დ. ღავთაძე, მ. ავანაშვილი, ნ. ზედგინიძე, გ. ჩოგოვაძე, კვიციანი, რ. ტყემალაძე, მ. ხაჩიძე, თ. მარჯანიძე, ნ. დავლაძე, გ. მარჯანიძე, ვ. ზაბახიძე, რ. რამზი, თ. კურატიშვილი, ზ. მერულაშვილი, ფარშად ფაზალეჰი, მოშტაგ რაჰიმი, ნ. ურუშაძე, გ. მაზმიშვილი, გ. დარახველიძე, გ. ნათობიძე, გ. დანელიშვილი, ე. დანელიშვილი, გ. მდივნიშვილი, გ. ოქრიაშვილი, მ. აბულაძე, ა. ნოზაძე, გ. თვალავაძე, მ. ჩხობაძე-კოხრეიძე, ე. ბერიძე, ლ. ბერძენიშვილია, თ. გალოგრე, მ. გალოგრე.

40. ქ. თბილისში, **კრილოვის ქ. №№7-9-ში** არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება-დაშენება) საკითხის განხილვის შესახებ. (AR144715, 145997)

(მოწვეულები – მ. ავანაშვილი, ნ. ზედგინიძე).

41. ქ. თბილისში, **აბაშიძის ქ. №18/30-ში** არსებულ შენობაზე, სართულის დაშენების საკითხის განხილვის შესახებ. (AR138100)

(მოწვეულები – გ. ჩოგოვაძე, კვიციანი).

42. ქ. თბილისში, **ლ. ასათიანის ქ. №30-ში** (ძეგლი) არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის, საჩრდილობლის მოწყობისა და მიმდებარე კედლის მოწესრიგების საკითხის განხილვის შესახებ. (AR145147)

(მოწვეული – რ. ტყემალაძე).

43. ქ. თბილისში, **ნ. ჩხეიძის ქ. №37-სა და №43-ში შორის** სასტუმროს დასაპროექტებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხის განხილვის შესახებ. (AR145203)

(მოწვეული – მ. ხაჩიძე).

44. ქ. თბილისში, **რუისის ქ. №37-ის მიმდებარედ** არსებული 28 კვ.მ. მიწის ნაკვეთის კანონით დადგენილი ფორმით განკარგვის საკითხის განხილვის შესახებ. №07/60062-13 01.05.12

45. ქ. თბილისში, **დავით აღმაშენებლის გამზირის №174-ში (ძეგლის ტერიტორია)** ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაპროექტებლად, მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის საკითხის განხილვის შესახებ. (AR145815)

46. ქ. თბილისში, **კ. ერისთავის ქ. №23/ფაბრიციუსის ქ. №23-ში** არსებული შენობის დემონტაჟისა და ახალი საცხოვრებელი სახლის დასაპროექტებლად, მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის საკითხის განხილვის შესახებ. (AR146577)

(მოწვეულები – თ. მარჯანიძე, ნ. დავლაძე, გ. მარჯანიძე).

47. ქ. თბილისში, **კვალის ქ. №№9-11, შოთა რუსთაველის გამზირის №29, თაბუკაშვილის ქ. №48, მ. მესხის ქ. №6, რ. თაბუკაშვილის ქ. №№50-52-ში,** სასტუმროს კომპლექსის მოსაწყობად, მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის საკითხის განხილვის შესახებ. (AR146460)

(მოწვეულები – ვ. ზაბახიძე, რ. რამზი).

47. ვ. ზაბახიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, **კვალის ქ. №№9-11, შოთა რუსთაველის გამზირის №29, თაბუკაშვილის ქ. №48, მ. მესხის ქ. №6, რ. თაბუკაშვილის ქ. №№50-52-ში,** სასტუმროს კომპლექსის მოსაწყობად, მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის საკითხის განხილვის შესახებ. (AR146460)

**აზრი გამოთქვეს:**

- დადებითი შეფასება.
- დადებითი შეფასება.
- უარი ეთქვას.
- უარი ეთქვას. არსებული შენობის რეკონსტრუქცია შესაძლებელია, რაც შეეხება მაღლივ კომპოზიციას, არსებული ჩამოყალიბებული მასშტაბიდან, ისტორიულ-არქიტექტურული ლანდშაფტიდან გამომდინარე დაუშვებელია. სასურველია მოეწყოს პროექტის საზოგადოებრივი განხილვა.
- უარი ეთქვას. მისასალმებელია, რომ მთლიანად ინარჩუნებენ ძველ ნაგებობას, მაგრამ ასეთი სიმაღლისა და ფორმის ნაგებობა სრულიად მიუღებელია ამ ადგილას. შემცირდეს.
- დადებითი შეფასება.
- უარი ეთქვას. წარმოდგენილი ვარიანტი აბსოლუტურად არ შეესაბამება არსებულ ურბანულ გარემოს.
- უარი ეთქვას.
- დადებითი შეფასება.
- დადებითი შეფასება.
- დადებითი შეფასება გაპ-ს. წარმოდგენილი პროექტი შეუსაბამოა რუსთაველის გამზირისთვის. დასახვეწია.

**დასკვნა: მიეცეს დადებითი შეფასება ქ. თბილისში, კვალის ქ. №№9-11, შოთა რუსთაველის გამზირის №29, თაბუკაშვილის ქ. №48, მ. მესხის ქ. №6, რ. თაბუკაშვილის ქ. №№50-52-ში,** სასტუმროს კომპლექსის მოსაწყობად, მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის საკითხს.

**გაეწიოს რეკომენდაცია** „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიაზე" წარსადგენად.

**განხილვის შედეგი: მომხრე: 6; წინააღმდეგი: 5.**

48. თ. კურატიშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, **დავით აღმაშენებლის გამზირის №119-ში (ძეგლი)** არსებულ შენობაზე, სარეკლამო აბრების მოწყობის საკითხის განხილვის შესახებ. (AR145956)

**აზრი გამოთქვეს:**

- უარი ეთქვას.
- უარი ეთქვას. წარწერის ზომები შესამცირებელია, ლოგოს განთავსების ადგილიც შესაცვლელია.

- უარი ეთქვას.
- უარი ეთქვას.
- უარი ეთქვას.
- უარი ეთქვას.
- უარი ეთქვას.
- უარი ეთქვას.

**დასკვნა:** უარი ეთქვას ქ. თბილისში, მ. წინამძღვრიშვილის ქ. №86-ში, ქალაქგეგმარებითი პარამეტრების გაზრდის საკითხს.

**განხილვის შედეგი: უარი ეთქვას: 9, დადებითი შეფასება: 1.**

**საბჭოს სხდომის თავმჯდომარის**

**მოადგილე** გიორგი გოგოლაშვილი

**სხდომის მდივანი** თინათინ უკლება

# ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №19

ქ. თბილისი 16 მაისი 2012 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: გია აბულაძე, გიორგი ტყემალაძე, გიორგი ჩაჩანიძე, დავით მახარობლიშვილი, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: ლ. სოხაძე, ნ. დვალიშვილი, გ. ტაბატაძე, ზ. მაღლაკელიძე, ა. მელიქ-სარქისიანი, მ. ბუჯიაშვილი, ბ. სექანია, ლ. ბურდული, ლ. გეგეშიძე, დ. გოქაძე, მ. მინდაძე, ს. მინდაძე, თ. კობახიძე, მ. მახათაძე, შ. თელია.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კვალის ქ. №№9-11, შოთა რუსთაველის გამზირის №29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. №48, №№50-52, მ. მესხის ქ.

**1.** ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კვალის ქ. №№9-11, შოთა რუსთაველის გამზირის №29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. №48, №№50-52, მ. მესხის ქ. №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.012.015) არსებული შენობა-ნაგებობის რკონსტრუქციის (სასტუმრო-კომპლექსი) მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – ვ. ზაბახიძე. **AR146460**
დადგენილი პარამეტრები –კ2=4,6.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=5,4.
დადგენილი ზონის სახეობა - სატრანსპორტო ზონა 1, საცხოვრებელი ზონა 5.
მოთხოვნილი ზონის სახეობა – საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2.

**აზრი გამოთქვეს:**

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

**1. მიეცეს თანხმობა** ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კვალის ქ. №№9-11, შოთა რუსთაველის გამზირის №29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. №48, №№50-52, მ. მესხის ქ. №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.012.015) არსებული შენობა-ნაგებობის რკონსტრუქციის (სასტუმრო-კომპლექსი) მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემაზე.

**2.** არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=5,4.

**3. გაეწიოს რეკომენდაცია** ქ. თბილისის მერს წარუდგინოს ქ. თბილისის საკრებულოს განიხილოს საკითხი ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, კვალის ქ. №№9-11, შოთა რუსთაველის გამზირის №29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. №48, №№50-52, მ. მესხის ქ. №6-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.012.015) ფუნქციური ზონის სახეობა სატრანსპორტო ზონა 1, საცხოვრებელი ზონა 5-ის, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით შეცვლის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

**რეკომენდაცია:** კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის

მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

**2.** ლ. სოხაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ტ. ტაბიძის ქ. №43-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.027.005) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე სხვენის დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ლ. სოხაძე. **AR149851, AR151135**
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=2,5.
არსებული პარამეტრები – კ1=0,6, კ2=3,0.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,6, კ2=3,5.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ტ. ტაბიძის ქ. №43-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.027.005) მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე სხვენის დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=3,5.

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

- მისაღებია სზ 1.
- მისაღებია სზ 1-ის პარამეტრებით.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, დაბა კოჯორში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.01.06.471) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობებისა და სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე ზონა 1-ის პარამეტრებით: კ1=0,5, კ2=0,8, კ3=0,3.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური